რემონ კენო

სტილისტური საკვარჯიშოები

დიოგენეს
ბიბლიოთეკა

რემონ კენო
სტილისტური სავარჯიშოები

Raymond Queneau
EXERCICES DE STYLE

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

© Éditions Gallimard, Paris, 1947
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-863-0

www.diogene.ge

სარჩევი

ჩანაწერი 9

ნაწილობრივ ორმაგი 10

ლიტოტესი 11

მეტაფორულად 12

უკუსვლით 13

გაოცება 14

სიზმარი 15

პროგნოზი 16

სიტყვების გადანაცვლება 17

ცისარტყელა 18

ლოგო-რალი 19

ჭოჭმანი 20

დაზუსტება 21

სუბიექტური თვალსაზრისი 22

მეორე სუბიექტური თვალსაზრისი 23

მოთხრობა 24

სიტყვების შედგენა 25

უარყოფა 26

ანიმიზმი 27

ანაგრამა 28

განსხვავება 29

ჰომეოტელევტონი 30
ოფიციალური წერილი 31
ანოტაცია 33
ხმაბაძვითი სიტყვები 34
ლოგიკური ანალიზი 35
დაჟინება 37
არცოდნა 39
ნამყო განუსაზღვრელი 40
აწმყო 41
ნამყო სრული 42
ნამყო უსრული 43
ალექსანდრიული ლექსი 44
პოლიპტოტონი 45
აფერეზისი 46
აპოკოპე 47
სინკოპა 48
მე 49
შეძახილი 50
მერე 51
მაღალფარდოვანი 52
ვულგარული 53
დაკითხვა 54
კომედია 56
აპარტი 58
პარექეზისი 59
მოჩვენებითი 60

ფილოსოფიური 62
აპოსტროფა..... 63
მოუხერხებელი 64
უშუალო 66
მიკერძოებული 68
სონეტი 70
ყნოსვისა 71
გემოსი..... 72
შეხებისა 73
მხედველობისა..... 74
სმენისა..... 75
ტელეგრაფიული..... 76
ოდა 77
ასოთა მზარდი ჯგუფების გადანაცვლება 80
სიტყვათა მზარდი ჯგუფების გადანაცვლება 81
ელინიზმები 82
ერთობლიობა 83
განმარტებითი 84
ტანკა..... 85
ვერლიბრი 86
ტრანსლაცია..... 87
ლიპოგრამა..... 88
ანგლიციზმები 89
პროთეზისი..... 90
ეპენთეზისი 91
პარაგოგი..... 92

მეტყველების ნაწილები 93
მეტათეზისი 94
წინიდან და უკნიდან..... 95
საკუთარი სახელები 96
ლუშებემი 97
ქაჯური 98
ანტონიმური 99
სამზარეულოს ლათინური 100
ჰომოფონიური.....101
იტალიანიზმები 102
Engleesayltartveeს.....103
სპუნერიზმები 104
ბო(ს)ტანიკური 105
სამედიცინო.....106
შეურაცხმყოფელი 107
გასტრონომიული.....108
ზოოლოგიური 109
უძლური 110
Modern style 111
ალბათობა 112
პორტრეტი 113
გეომეტრიული.....114
გლეხური 115
შორისდებულები 116
პრეციოზული 117
მოულოდნელი 119

ჩანაწერი

S-ში პიკის საათისას. ოცდაექვსიოდე წლის ტიპს ქუდზე ლენტის ნაცვლად ზონარი უკეთია, მეტისმეტად გრძელი კისერი თითქოს ვიღაცამ გაუწელა. ხალხი ჩადის. ტიპი გვერდით მდგომს ეჩხუბება, მგზავრების გადაადგილებისას განზრახ მეჯახებიო. უნდა, რომ მისი წუწუნა ტონი შიშის მომგვრელად ჟღერდეს. როგორც კი თავისუფალ ადგილს ხედავს, მირბის და ჯდება.

ორი საათის შემდეგ იმავე ტიპს სენ-ლაზარის სადგურის წინ, რომის მოედანზე, ვხვდები. მეგობართან ერთადაა. მეგობარი ეუბნება: „პალტოზე კიდევ ერთი ღილი დაამატებინე“. უჩვენებს, სად (გულისპირზე) და რატომ.

ნაწილობრივ ორმაგი

დღის შუაგულსა და შუადღისას, ნომერ S-ისა და კონტრეს-კარპიდან შანპერეში მიმავალი გადაჭედილი და სავსე ავტობუსისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პლატფორმასა და უკანა ბა-ქანზე გახლდით და ვიმყოფებოდი. დავინახე და შევნიშნე საკმაოდ სასაცილო და მეტწილად გროტესკული ყმაწვილი და მოწიფული მოზარდი: წვრილი კისრითა და გაძვალტყავებული კინწით, ქუდისა და თავსაბურავის გარშემო მოხვეული და შემოკრული კანაფითა და ბაწრით გამოირჩეოდა და თავს დაგამახსოვრებდათ. ჭყლეტი-სა და ჯიკავ-ჯიკავის შემდეგ ცრემლნარევი და მომტირალი ხმითა და ინტონაციით ბრძანა და წარმოთქვა, რომ ხალხის ჩასვლისას და ჩაბრძანებისას მის მეზობლად და გვერდით მდგომი განგებ და განზრახ მუჯლუგუნებს ჰკრავდა და ქიმუნჯებს სთავაზობდა. ამის თქმა და განცხადება იყო და ცარიელი და თავისუფალი სკამისა და სავარძლისაკენ გაქანდა და გაეშურა.

ორი საათისა და ას ოცი წუთის შემდეგ რომის მოედანსა და სენ-ლაზარის სადგურის წინ ისევ შევამჩნიე და კვლავ დავლანდე. მეგობარსა და ძმაკაცთან ერთად იყო და იმყოფებოდა. ის და იგი ურჩევდა და სთავაზობდა, მანტოსა და პალტოზე ღილი და ფოლა-ქი დაამატებინე და მიაკერებინეო.

ლიტოტესი

რამდენიმე ადამიანმა ერთად ვიმგზავრეთ. ახალგაზრდა კაცი არცთუ ჭკვიანური გამომეტყველებით ორიოდე წამით გამოელაპარაკა გვერდით მდგომ ბატონს და თავისუფალ სკამზე დაჯდა. ორ საათში კვლავ შევხვდი: ამხანაგს ტანსაცმელზე ესაუბრებოდა.

მეტაფორულად

დღის შუაწელში ხეშეშფრთიანი მწერის მოთეთრო მუცელში დავანებული მოგზაური სარდინების გროვიდან ერთ-ერთმა – ყელტიტველა ყვინჩილას რომ წააგავდა – უეცრად მშვიდობიანი მგზავრი დაიმარტოხელა და დამოძღვრა. მისი ცრემლნარევი პროტესტი ჰაერში განეფინა და მიწყდა. მერე ჩვენი ბარტყი სიცარიელემ მიიზიდა.

იმავე დღეს იგი კვლავ ვიხილე ქალაქის მოქუფრულ უდაბნოში, ოდეს რაგინდარა უბადრუკი ღილის გამო ადგილზე მოსვეს.

უკუსვლით

„კარგს იზამ, პალტოზე ღილს თუ დაამატებინებ“, – უთხრა მეგობარმა. შუაგულ რომის მოედანზე დავინახე მას შემდეგ, რაც დასაჯდომს გაცოფებული დააცხრა. სულ ახალი გათათხული ჰყავდა მეორე მგზავრი, აქაოდა, გაჩერებებზე ხელს მკრავო. ამ გაძვალტყავებულ ჭაბუკს სასაცილო ქუდი ეხურა. ამბავი კი შუადღისას მოხდა გაძეძგილი ავტობუსის, S-ის, ბაქანზე.

გაოცება

ღმერთო, რა ჭყლეტა იყო იმ ავტობუსში! რა გამოთაყვანებული და სასაცილო ჩანდა ის ბიჭი! არ იკითხავთ, რა ქნა? ეგ ვაჟბატონი ერთ პატიოსან კაცს აუხირდა, გინდა თუ არა, ხელს მკრავო! მერე უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, ცარიელი სკამისკენ გაქანდა! გგონიათ, რომელიმე მანდილოსანს დაუთმო?!

გამოიცანით, ვის შევხვდი ორი საათში სენ-ლაზარის სადგურის წინ? ისევ იმ კოხტაპრუწას! ვიღაც ძმაკაცის შეგონებებს ისმენდა! ჩაცმულობასთან დაკავშირებით!

დაუჯერებელია!

სიზმარი

ჩემ გარშემო ყველაფერი თითქოს სადაფისფერ ბურუსში გახვეულიყო. ამ ბურუსში ირეოდა რამდენიმე უკონტურო არსება, რომელთა შორის მეტ-ნაკლებად მკაფიოდ მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მამაკაცის სილუეტი იკვეთებოდა. მისი წაგრძელებული კისერიც მიგახვედრებდათ, როგორ ლაჩარ და წუწუნა ადამიანს ხედავდით. ქუდის ლენტი დაწნული ზონრით ჩაენაცვლებინა. ჯერ უჩინარ ადამიანს ეკამათა, მერე ჩაბნელებულ გასასვლელში ჩაიკარგა შიშნეული.

ჩემი სიზმრის შემდეგ ნაწილში იგი სენ-ლაზარის მზით გასხივოსნებული სადგურის წინ დავლანდე. მავანი თანმხლები კაცი ეუბნებოდა: „პალტოზე ღილი უნდა დაამატებინო“.

მერე გამეღვიძა.

პროგნოზი

რომ გაშუადღევდება, აღმოჩნდები ავტობუსის ბაქანზე, სადაც ერთმანეთზე მიჭყლეტილ მგზავრებს შორის თვალს ჰკიდებ სასაცილო ყმაწვილკაცს: აჩონჩხილი კისრითა და ულენტო შლაპით. ეს ბიჭი მთლად ჯანზე ვერ იქნება. მოეჩვენება, რომ მგზავრების გადაადგილებისას ერთი ბატონი განგებ გაჰკრავს ხელს. კაცს თავის სადარდებელს გაუზიარებს, ის კი ზედაც არ შეხედავს. დამფრთხალი სასაცილო ყმაწვილკაცი დასხლტება და თავისუფალ სკამს დაიკავებს.

ცოტა ხანში მას კვლავ შენიშნავ რომის მოედანზე, სენ-ლაზარის სადგურის წინ, მეგობართან ერთად, რომელიც ეტყვის: „შენი პალტო კარგად არ იკვრება; ღილი უნდა დაამატებინო ვინმეს“.

სიტყვების გადანაცვლება

ახალგაზრდა მამაკაცი სასაცილო ყოფნისას ერთ დღეს სავსე ავტობუსში ხაზ S-ის გაწელილი ყელით დავინახე თითქოსდა და გარშემორტყმული ქუდით თოკით. ახალგაზრდამ ტონით ქედმაღლური და მტირალა გაილაშქრა ბატონის წინააღმდეგ მის გვერდით მდგომი. ჩასვლისას მგზავრების თითქოს ეს ჰკრავდა ბატონი ხელს. გავარდა და დაჯდა ცარიელი ადგილისკენ, ამის თქმა იყო და. რომის მოედანზე დავინახე ორ საათში ყმაწვილი, სადაც დამატებას ურჩევდა პალტოზე ღილის მეგობარი.

ცისარტყელა

ერთ დღეს იისფერი ავტობუსის ბაქანზე აღმოვჩნდი. იქ საკმაოდ სასაცილო ახალგაზრდა იმყოფებოდა: ლურჯკისერას თოკმობმული ქუდი ეხურა. მოულოდნელად ერთ ცისფერ ბატონს აუხირდა. სიბრაზისგან გამწვანებული უმტკიცებდა, მგზავრები როცა ჩადიან, ხელს მკრავო. სათქმელი რომ მოამთავრა, თავისუფალ ყვითელ სკამზე დაბრძანდა.

ორ საათში მას კვლავ შევხვდი ნარინჯისფერი სადგურის სიახლოვეს. მეგობარი ურჩევდა, შენს წითელ პალტოზე დამატებითი ღილი მიაკერებინეო.

ლოგო-რალი

(მზითევი, ხიშტი, მტერი, სამლოცველო, ატმოსფერო, ბასტილია, მიმოწერა).

ერთ დღეს იმ ავტობუსში ვიჯექი, რომელიც უეჭველად პარიზის რეგიონის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმძღვანელის, ბატონ მარიაჟის ქალიშვილს ერგო მზითევში. იქ ერთი სასაცილო ჯეელი იმყოფებოდა. სასაცილო იმიტომ კი არ იყო, რომ ხიშტი არ ეჭირა, არამედ იმიტომ, რომ ხიშტი ხელთ არ ეპყრო და ხიშტგადაყლაპულს კი ჰგავდა. მოულოდნელად ახალგაზრდამ თავის მტერს შეუტია: უკან მდგომ ბატონს ბრალი დასდო, თავი ისე ზრდილობიანად არ გიჭირავს, როგორც სამლოცველოშიო. ასე დაძაბა ატმოსფერო ამ უგუნურმა, მერე წავიდა და დაჯდა.

ორ საათში იგი ბასტილიიდან ორი-სამი კილომეტრის მოშორებით დავინახე თავის ამხანაგთან ერთად, რომელიც ეუბნებოდა, პალტოზე ღილი მიაკერებინეო. სხვათა შორის, ამ აზრის განდობა მიმოწერითაც შეეძლო.

ჭოჭმანი

არც კი ვიცი, სად მოხდა ეს ამბავი... ეკლესიაში? ნაგვის ურნაში? სასაფლაოზე? ეგებ ავტობუსში? იქ იყო... ნეტა რა იყო? კვერცხები? ხალიჩები? ბოლოკი? ჩონჩხები? ჰო, ჩონჩხები, ოღონდ ხორცშესხმული და ცოცხალი. მგონი, არ ვცდები. ავტობუსში ხალხი იყო. ოღონდ ამ ხალხიდან ერთმა (თუ ორმა) ადამიანმა დამამახსოვრა თავი, ის კი არ მახსოვს, რით. განდიდების მანიით? ცხიმგროვებით? მელანქოლიით? არა, რაღაც უკეთესით... ზუსტად რომ აგიხსნათ... მგონი, თავისი ახალგაზრდობითა და გრძელი... ცხვირით? ნიკაპით? ცერით? არა, კისრით. ჰო, და კიდევ უცნაურზე უცნაური ქუდით. კინკლაობა დაუწყო, დიახ, კინკლაობა, ნეტა ვის? ალბათ, რომელიმე მგზავრს (კაცს თუ ქალს? ბავშვს თუ მოხუცს?). ბოლოს ეს ყველაფერიც დასრულდა, აბა, რამენაირად ხომ უნდა დამთავრებულიყო ეს ამბავი, ვფიქრობ, რომელიმე მოპაექრის გაქცევით.

დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მეჩვენება, რომ იმავე პიროვნებას მოვკარი თვალი, მაგრამ სად? ეკლესიის წინ? სასაფლაოსთან? ნაგვის ურნის სიახლოვეს? ამხანაგი უხსნიდა რაღაცას, მაგრამ ნეტა რას? რას? რას?